



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 263

ქალაქი ქუთაისი 25 მაისი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ბ.ე“ ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 აპრილის №134 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. შეიქმნეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი, სამი თვის ვადით.

მუხლი 2. არჩეულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა–ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, გრიგოლ ქობალიანი, დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს, გრიგოლ ქობალიანს საკრებულოსათვის დროებითი სამუშაო ჯგუფის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის წარმოდგენა.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი